საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მეგრული წითელი ჯიში მსხვილფეხა პირუტყვისა

მეგრული წითელი ჯიში მ ს ხ ვ ი ლ ფ ე ხ ა პ ი რ უ ტ ყ ვ ი ს ა , უნივერსალური გამოყენების ჯიში კომბინირებული, სარძევე-სახორცე-მუშა პროდუქტიული მიმართულებისა. გამოყვანილია XIX ს. 60-იან წლებში მეგრელი მეჯოგეების მიერ ადგილ. მცირეტანიანი პირუტყვის სრულყოფით (ქართ. მთის ძროხის მეგრ. ჯილაგის ხალასად მოშენებით). ჯიშის მიღებაზე მუშაობის დაწყების სტიმული იყო ჭიათურის საბადოდან უახლოეს რკინიგზამდე მადნის გადასატანად მუშა პირუტყვსა და რძის პროდუქტებზე მოთხოვნილების ზრდა. მომშენებლებიდან განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა ძმები კვარაცხელიების საქმიანობა, რ-თა მრავალრიცხოვანი ნახირი ჯიშის სანაშენე ბირთვის პროტოტიპად იქცა. გავრცელებულია სამეგრელოში, გურიაში, ლეჩხუმში, იმერეთში, აფხაზეთსა და აჭარაში. ცხოველი წითელია, აქვს ქარვისფერ-ყვითელი ფერის წვრილი და გრძელი, აშვერილი, ახალი მთვარისებრი ფორმის (უფრო მეტად ხარებში) რქები, თაფლისფერი ჩლიქები, ასევე ვარდისფერი ცხვირის სარკე და ქუთუთოები. ზრდასრული ფურის სიმაღლეა მინდაოში 112–115 *სმ*, ცოცხალი მასა – 300–350 *კგ* (კურო მწარმოებლების, შესაბამისად, 122–127 *სმ* და 450–550 *კგ*); ახალშობილი ხბოს ცოცხალი მასაა 15–22 *კგ*. საძოვრული კვების პირობებში ფურების ლაქტაციური მონაწველი 1200–1500 *კგ* რძეა (4,3–4,5% ცხიმი, 3,3–3,5% ცილა). 1988 ლანჩხუთის რ-ნის სოფ. აკეთის სანაშენე ფერმაში გაუმჯობესებული კვების პირობებში ფურების საშ. მონაწველი იყო 3017 *კგ* (ცხიმიანობა 4,33%). მონაწველის რეკორდი დაამყარა №0641 ფურმა „თორიამ“ (4315 *კგ* რძე, ცხიმიანობა – 4,29%); სუქებისას მოზარდეულის სადღეღამისო წონამატი იყო 740 გ, ხოლო ცოცხალი მასა 18 თვის ასაკში – 300 *კგ*, ნაკლავის გამოსავალი – 52%. 1977 ზუგდიდში შეიქმნა მ. წ. ჯ-ის ჯიშთსაშენი, რ-ის დანიშნულება იყო ჯიშის შენარჩუნება, სრულყოფა და ეფექტიანი გამოყენება.

ამჟამად ხალასჯიშიანი ეგზემპლარების სულადობის შემცირების გამო ჯიშს ემუქრება გადაშენება.

ლიტ.: გ ო გ ო ლ ი გ., ბ ა რ კ ა ლ ა ი ა რ., მეგრული წითელი ჯიშის ძროხა და მეჯოგეთა ყოფა-ტრადიციები, თბ., 2020; გ ო ც ი რ ი ძ ე ნ., რძისა და ძროხის ხორცის წარმოების ტექნოლოგია, თბ., 1997.

გ. გოგოლი